ხელშეკრულება № 20

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ძველი ქანდა 10 ნოემბერი2016 წ.

ერთის მხრივ, სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველი ქანდის საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ნანა ნაკანის სახით და მეორეს მხრივ, ი/მ ვაჟა მანგოშვილი , (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ვაჟა მანგოშვილის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე_3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

წინამდებარე ხელშეკრულების საგანია CPV:44163160 შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

1.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის დეტალური აღწერა მოცემულია დანართში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 163.20 (ასსამოცდაორი და ოცი თეთრი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

4.1. მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან 15(თხუთმეტი) დღის ვადაში შემსყიდველის მისამართზე მცხეთა,ძველი ქანდა

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1.მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს მოქმედი კანონის შესაბამისად.

5.2. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.

5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.4. შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით

თვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.5. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) ხელშეკრულებით განსაზღვრული საგნის ნაკლის/ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი შეცვლა ან ნაკლის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

მუხლი 6. პირგასამტეხლო

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

6.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 10. შეტყობინება

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.
10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა

11.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 12. ხელშეკრულების ენა

12.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი - შემსყიდველთან.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2016 წლის 30დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველი ქანდის საჯარო სკოლა ს/კ 236087569 მის: მცხეთა,ძველი ქანდა ტელ: 577 97 11 20 საბანკო რეკვიზიტები: ს/ს „საქართველოს ბანკი“ ბანკის კოდი BAGAGE22 ა/ა GE70BG0000000920447100 დირექტორი: ნანა ნაკანი	ი/მ ვაჟა მანგოშვილი ს/კ 35001027082 მის.:მცხეთა ტელ.: 599 48 21 15 საბანკო რეკვიზიტები: ს/ს „ლიბერთი ბანკი“ ბანკის კოდი LBRTGE22 ა/ა GE78LB0112147118258000 დირექტორი: ვაჟა მანგოშვილი

ხელშეკრულების საგნის აღწერა

შესყიდვის ობიექტია: CPV: 44163160 გამანაწილებელი მილები და აქსესუარები.

№	დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო
1	ტრაინიკი	ცალი	20	0,45	9.00
2	½ მილი	ცალი	8	4,20	33.60
3	½ მუხლი	ცალი	32	0.30	9.60
4	მუხლი შიდა ხრახნით	ცალი	8	3.00	24.00
5	მუფტა შიდა ხრახნით	ცალი	8	1.50	12.00
6	არკოს კრანი	ცალი	6	7.00	42.00
7	მილი(50 იანი)	ცალი	1	3,50	3.50
8	სილიკონი	ცალი	2	6.00	12.00
9	ბოქლომი	ცალი	2	4.00	8.00
10	ბოქლომი	ცალი	1	3.50	3.50
11	ბოქლომი	ცალი	1	6.00	6.00

სულ: 163.20. (ასსამოცდასამი ლარი და 20 თეთრი)

ძველი ქანდის საჯარო
სკოლის დირექტორი:
ნანა ნაკანი

ი/მეწარმე
ვაჟა მანგოშვილი

მიღება- ჩაბარების აქტი

ძველი ქანდა 18 ნოემბერი 2016 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი, ი/მეწარმე ვაჟა მანგოშვილი (შემდგომში „მიმწოდებელი“) და მეორე მხრივ, სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველი ქანდის საჯარო სკოლა (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმომადგენელი მისი დირექტორის ნანა ნაკანის სახით,წინამდებარე აქტით ვადასტურებთ, რომ 2016 წლის 10 ნოემბერს დადებული ხელშეკრულება #20 თანახმად,“მიმწოდებელმა“ „შემსყიდველს“ მიაწოდა დანართში მითითებული 163.20(ასსამოცდასამი ლარი და ოცი თეთრი)ლარის ღირებულების საქონელი.

ი/მეწარმე

ვაჟა მანგოშვილი

სკოლის დირექტორი

ნანა ნაკანი